

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №207
2025 წლის 4 აგვისტო

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 48¹ მუხლის:

ა) მე-18 მაგალითის „შეფასების“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შენიშვნა“:

„**შენიშვნა:** მაგალითში განხილული განაშთვის წესი ვრცელდება 2025 წლის 1 სექტემბრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.“;

ბ) მე-18 მაგალითის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 18¹ მაგალითი:

„**მაგალითი 18¹.** შპს „X“ და ავეჯის მწარმოებელი საწარმო 2025 წლის სექტემბრის თვეში შეთანხმდნენ 118 000 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ღირებულების წინასწარ განსაზღვრული დასახელებისა და ოდენობის საქონლის შესყიდვის თაობაზე. შეთანხმების თანახმად, მისაწოდებელ საქონელზე წინასწარ გადახდილ იქნა მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის ნაწილი: სექტემბრის თვეში 59 000 ლარის ოდენობით, ოქტომბრის თვეში – 11 800 ლარი.

ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ ჩარიცხულ თანხებზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები. ამასთან, სექტემბრის თვის დღგ-ის დეკლარაციით დაადეკლარირა და ბიუჯეტში გადაიხადა დღგ 59 000 ლარის საკომპენსაციო თანხიდან – 9000 ლარი და ოქტომბრის თვის დღგ-ის დეკლარაციით 11 800 ლარის საკომპენსაციო თანხიდან – 1 800 ლარი.

შეთანხმებით გათვალისწინებული 118 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება განხორციელდა 2025 წლის ნოემბრის თვეში. საქონლის მიწოდებისას ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გამოწერა სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის სრულ საკომპენსაციო თანხაზე. თვის ბოლოს კი აღნიშნული ზედნადების საფუძველზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:

ავეჯის მწარმოებელი საწარმო ნოემბრის თვეში განხორციელებულ საქონლის მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაში ასახავს ამავე საქონლის საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილ ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემებს, რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას, აღნიშნული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დასარიცხი დღგ-ის თანხა შეადგენს 7 200 ლარს (18 000 - 9 000 - 1 800).“;

გ) 26-ე მაგალითი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მაგალითი 26.** დღგ-ის გადამხდელმა შპს „X“-მა 3 000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების



თაობაზე გააფორმა ხელშეკრულება შპს „Y“-თან, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქონლის მიწოდებამდე შპს „Y“ გადაიხდიდა საქონლის ღირებულების ნაწილს 2 000 ლარს, ხოლო დარჩენილ ნაწილს გადაიხდიდა საქონლის მიწოდების შემდგომ. შპს „Y“-მა შეთანხმებული თანხა შპს „X“-ს გადაუხადა 2025 წლის 20 სექტემბერს. ვინაიდან მხარეების მიერ განსაზღვრული იყო მისაწოდებელი საქონელი, საქონლის რაოდენობა, ღირებულება და საქონლის მიწოდება წარმოადგენდა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას, შპს „X“-ის მიერ მიღებულ თანხაზე გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და 2 000 ლარი დაბეგრილ იქნა დღგ-ით 2025 წლის სექტემბრის თვეში.

2025 წლის 2 ოქტომბერს შპს „Y“ დარეგისტრირდა დღგ-ის გადამხდელად.

შეთანხმებული საქონლის ნაწილის, 1600 ლარის, ღირებულების მიწოდება განხორციელდა 2025 წლის 9 ნოემბერს, ხოლო დარჩენილი 1400 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება – 10 დეკემბერს.

შპს „X“-მა გამოწერა:

- სექტემბრის თვის საანგარიშო პერიოდზე ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა 2000 ლარის ოდენობით;
- ოქტომბრის თვის საანგარიშო პერიოდზე 1600 ლარის საქონლის მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სადაც ასახა საქონლის მიწოდებამდე გადახდილი საქონლის საკომპენსაციო (ავანსის) თანხა 1600 ლარი;
- დეკემბრის საანგარიშო პერიოდზე 1400 ლარის მიწოდების ოპერაციაზე ანგარიშ-ფაქტურა, სადაც ასახა საქონლის მიწოდებამდე გადახდილი საქონლის საკომპენსაციო (ავანსის) თანხა 400 ლარი.

შპს „Y“-მა მისაწოდებელ საქონელზე გადახდილი დღგ-ის 2000 ლარის ჩათვლა ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე განხორციელა ოქტომბრის (დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის) საანგარიშო პერიოდში, ხოლო დარჩენილი ნაწილის ჩათვლა განხორციელა საქონლის მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დეკემბრის საანგარიშო პერიოდზე, 1000 ლარის ოდენობით.

შეფასება:

ვინაიდან, შპს „Y“-ს საქონელი მიღებული აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ, შესაბამისად, მის მიერ დღგ-ის რეგისტრაციამდე აღნიშნულ საქონელზე გადახდილი დღგ-ის თანხა ექვემდებარება ჩათვლას, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემდგომ პერიოდზე, როგორც საქონლის მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, ისე ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით.

შენიშვნა: იმავე წესით შეუძლია მიიღოს გადასახადის გადამხდელმა დღგ-ის ჩათვლა მომსახურების მიღების შემთხვევაშიც, კანონმდებლობით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.“.

2. 51-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებზე გამოიწერება შემდეგი სახის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები:

ა) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დანართი №III-05, დანართი №III-05¹ და დანართი №III-05²);

ბ) ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დანართი №III-09 და დანართი №III-09¹).“.

3. 52-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (შემდგომში – საფ), მატერიალურად, მათ შორის, დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების შემთხვევაში, გამოიწერება დანართი №III-05 ფორმით, ხოლო



ელექტრონულად, მათ შორის, დასაბეგრი ოპერაციის კორექტირების შემთხვევაში, დანართი №III-05 ფორმით.“.

4. დანართი №III-05¹-ის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №III-05².

5. 53-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ელექტრონული საფ-ის (დანართი №III-05²-ის) გამოწერისას ასევე:

ა) მე-9 სტრიქონში მიეთითება საფ-ის ცხრილში ასახული საქონლის მიწოდებამდე, მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდის შემთხვევაში გამოწერილი საფ-ის (მათ შორის, კორექტირების) სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი და დღგ-ის თანხა, რომლის მიხედვითაც მოხდება მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე გამოწერილი საფ-ის მიხედვით დარიცხული დღგ-ის შემცირება;

ბ) 9.1 სტრიქონში აისახება საფ-ის ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის და მე-9 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის სხვაობა. 9.1 სტრიქონში მონაცემების ასახვის შემთხვევაში არ ივსება 9.2 სტრიქონი;

გ) 9.2 სტრიქონი ივსება საფ-ის კორექტირებისას, თუ ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხა ნაკლებია მე-9 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებულ დღგ-ის თანხაზე. 9.2 სტრიქონში აისახება ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის და მე-9 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის სხვაობა. ამ შემთხვევაში არ ივსება 9.1 სტრიქონი.

შენიშვნა: მე-9; 9.1 და 9.2 სტრიქონები ივსება იმ შემთხვევაში, თუ მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდა განხორციელდა 2025 წლის 1 სექტემბრის შემდგომ.“;

ბ) მე-7 და 7¹ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საქონლის მყიდველის (მიმღების) მოთხოვნის შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში ერთზე მეტი სასაქონლო ზედნადებით საქონლის მიწოდებისას, შესაძლებელია გამოიწეროს და გაიცეს მიწოდებების ჯამური მონაცემების ამსახველი დანართი №III-05 ან დანართი №III-05² ფორმის ერთი საფ. ამ შემთხვევაში, დანართი №III-05 გამოწერისას სავალდებულოა საფ-ის დანართის (დანართი №III-07) გამოყენება, რომელშიც იწერება იმ საფ-ის სერია და ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი. საფ-ის დანართში ინფორმაცია შეიტანება იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია საფ-ში. საფ-ის ცხრილის პირველ სვეტში კეთდება ჩანაწერი დანართის მიხედვით, თუ რამდენი დასახელების საქონლის მიწოდება განხორციელდა სასაქონლო ზედნადებებით, ხოლო მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში მონაცემები იწერება საფ-ის დანართის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტების ჯამების შესაბამისად. ამასთან, საფ-ის მე-7 და მე-8 სტრიქონები არ ივსება.

7¹. მომსახურების მყიდველის (მიმღების) მოთხოვნის შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდში გაწეულ მომსახურებებზე, შესაძლებელია გამოიწეროს და გაიცეს მიწოდებების ჯამური მონაცემების ამსახველი დანართი №III-05 ფორმის ან დანართი №III-05² ფორმის ერთი საფ. ამ შემთხვევაში, დანართი №III-05 გამოწერისას სავალდებულოა საფ-ის დანართის (დანართი №III-07) გამოყენება, რომელშიც იწერება იმ საფ-ის სერია და ნომერი, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს მოცემული დანართი. საფ-ის დანართში ინფორმაცია შეიტანება იმ სახით, როგორც ეს გათვალისწინებულია საფ-ში. საფ-ის ცხრილის პირველ სვეტში კეთდება ჩანაწერი დანართის მიხედვით, თუ რამდენი დასახელების მომსახურების მიწოდება განხორციელდა, ხოლო მე-4, მე-5 და მე-6 სვეტებში მონაცემები იწერება საფ-ის დანართის მე-4, მე-5 და მე-6 სვეტების ჯამების შესაბამისად.“.

6. 54-ე მუხლის 3¹ და 3² პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3 . გამყიდველი (მიმწოდებელი) უფლებამოსილია მყიდველს (მიმღებს) პროგრამულად წარუდგინოს ელექტრონული ფორმით გამოწერილი დანართი №III-05¹ და დანართი №III-05² ფორმის საფ-ის გაუქმების მოთხოვნა, რომელიც არც ერთი მხარის მიერ არ არის წარდგენილი დღგ-ის საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისი დანართით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული ფორმით გამოწერილი დანართი №III-05¹ და დანართი №III-05² ფორმის საფ რომელიმე მხარის მიერ წარდგენილია დღგ-ის საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისი დანართით, გაუქმების მოთხოვნა მყიდველს (მიმღებს) წარედგინება, თუ შესაბამისი პირის მიერ, საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე, საფ საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისი დანართებიდან ამოღებულია. საფ გაუქმებულად ითვლება მყიდველის (მიმღების) მიერ გაუქმების მოთხოვნის დადასტურებისას.

3². ელექტრონული ფორმით გამოწერილი დანართი №III-05¹ ფორმის და დანართი №III-05² საფ, რომელიც გამოწერილია უცხოეთის დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის და დიპლომატიური მისიის წევრისთვის ან ბორტზე მისაწოდებელ საქონელზე, ექვემდებარება გაუქმებას საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გამყიდველის (მიმწოდებლის) მიმართვის შემთხვევაში.“.

7. 57-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ტერიტორიაზე №III-08 დანართში აღნიშნული ნავთობპროდუქტების შეძენა, ტრანსპორტირება, შენახვა და მიწოდება (მათ შორის, რეალიზაცია) ხორციელდება მატერიალურად გამოწერილი დანართი №III-09 ფორმის ან ელექტრონულად გამოწერილი №III-09¹ ფორმის ნავთობპროდუქტების სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით (შემდგომში – „ნსაფ“), გარდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ №III-08 დანართში აღნიშნული საქონლის კანონმდებლობით დადგენილი წესით მიწოდების (მათ შორის, რეალიზაცია, პრივატიზება), ტრანსპორტირების და შენახვის შემთხვევებისა და ამ ინსტრუქციის 58-ე მუხლის 9¹ და 9² პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც სანაცვლო ნსაფ-ის გამოწერა ვერ ხერხდება.“.

8. დანართი №III-09-ის შემდეგ დაემატოს თანდართული რედაქციის დანართი №III-09¹.

9. 58-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დანართი №III-09 ფორმის ნსაფ-ი გამოიწერება მატერიალურად ოთხ ეგზემპლარად. ოთხივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ხოლო დანართი №III-09¹ ფორმის ნსაფ გამოიწერება ელექტრონულად.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ელექტრონული ნსაფ-ის (დანართი №III-09¹) გამოწერისას ასევე:

ა) 9.1 სტრიქონში მითითება ნსაფ-ის ცხრილში ასახული საქონლის მიწოდებამდე მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდის შემთხვევაში გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) სერია/ნომერი, გამოწერის თარიღი და დღგ-ის თანხა, რომლის მიხედვითაც მოხდება მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი ნსაფ-ის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის შემცირება;

ბ) 9.2 სტრიქონში აისახება ნსაფ-ის ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის და 9.1 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის სხვაობა. 9.2 სტრიქონში მონაცემების ასახვის შემთხვევაში არ ივსება 9.3 სტრიქონი;

გ) 9.3 სტრიქონში აისახება მონაცემები ნსაფ-ის კორექტირებისას, თუ ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხა ნაკლებია 9.1 სტრიქონის მე-3 სვეტში მითითებულ დღგ-ის თანხაზე, 9.3 სტრიქონში აისახება ცხრილის მე-5 სვეტში მითითებული დღგ-ის თანხის და 9.1 სტრიქონის მე-3



სვეტში მითითებული დღე-ის თანხის სხვაობა, ამ შემთხვევაში არ ივსება 9.2 სტრიქონი.

შენიშვნა: 9.1, 9.2 და 9.3 სტრიქონები ივსება იმ შემთხვევაში, თუ მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის (ავანსი) გადახდა განხორციელდა 2025 წლის 1 სექტემბრის შემდგომ.“;

გ) 9¹ და 9² პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9¹. გამყიდველი (მიმწოდებელი) უფლებამოსილია მყიდველს (მიმღებს) პროგრამულად წარუდგინოს გამოწერილი დანართი №III-09¹ ფორმის ნსაფ-ის გაუქმების მოთხოვნა, რომელიც არც ერთი მხარის მიერ არ არის წარდგენილი დღე-ის საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისი დანართით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული ფორმით გამოწერილი დანართი №III-09¹ ფორმის ნსაფ რომელიმე მხარის მიერ წარდგენილია დღე-ის საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისი დანართით, გაუქმების მოთხოვნა მყიდველს (მიმღებს) წარედგინება, თუ საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის საფუძველზე ნსაფ-ი საგადასახადო დეკლარაციის შესაბამისი დანართებიდან ამოღებულია. ნსაფ გაუქმებულად ითვლება მყიდველის (მიმღების) მიერ გაუქმების მოთხოვნის დადასტურებისას. ამასთან, გამყიდველი (მიმწოდებელი) ვალდებულია ნსაფ-ის გაუქმების საჭიროების დადგომისთანავე გამოწეროს სანაცვლო ნსაფ ან/და დაარეგისტრიროს განცხადება სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების საჭიროების შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია წარედგინება მყიდველ (მიმღებ) მხარეს გაუქმების მოთხოვნასთან ერთად.

9². გამოწერილი დანართი №III-09¹ ფორმის ნსაფ, რომელიც გამოწერილია უცხოეთის დიპლომატიური და მასთან გათანაბრებული წარმომადგენლობის და დიპლომატიური მისიის წევრისთვის ან ბორტზე მისაწოდებელ საქონელზე, ექვემდებარება გაუქმებას საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, გამყიდველის (მიმწოდებლის) მიმართვის შემთხვევაში. ამასთან, გამყიდველი (მიმწოდებელი) ვალდებულია ნსაფ-ის გაუქმების საჭიროების დადგომისთანავე გამოწეროს სანაცვლო ნსაფ ან/და დაარეგისტრიროს განცხადება სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაუქმების საჭიროების შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია წარედგინება საგადასახადო ორგანოს გამყიდველის (მიმწოდებლის) მიმართვისას.“.

10. 75-ე მუხლის 5¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5¹. დეკლარაციის „ბ“ დანართის I ნაწილის მე-2 – მე-8 სვეტებში აისახება დასაბეგრ ოპერაციებზე (მათ შორის, ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციებზე) გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (მათ შორის, კორექტირების) შესახებ ინფორმაცია. მე-9 – მე-11 სვეტები ივსება იმ შემთხვევაში, თუ მე-2 – მე-8 სვეტებში ასახულია იმ საქონლის მიწოდებაზე/მომსახურების გაწევაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (მათ შორის, კორექტირების) შესახებ მონაცემები, რომელზეც 2025 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდებში განხორციელდა საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ჩარიცხვა და მისაწოდებელი საქონლის/გასაწევი მომსახურების წინასწარ გადახდილ თანხაზე/თანხის ნაწილზე გამოიწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. შესაბამისად, მე-9 – მე-11 სვეტები მოიცავს საანგარიშო პერიოდში მიწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე წინა საანგარიშო პერიოდების მიხედვით გადახდილ საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების შესახებ ინფორმაციას.

მაგალითი:

შპს „X“ და ავეჯის მწარმოებელი საწარმო საანგარიშო წლის იანვრის თვეში შეთანხმდნენ 7000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდების თაობაზე. შეთანხმების თანახმად, თებერვლის თვეში გადახდილ იქნა მისაწოდებელი საქონლის საკომპენსაციო თანხის ნაწილი – 3000 ლარი. ავეჯის მწარმოებელმა საწარმომ გადახდილ თანხაზე გამოწერა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და თებერვლის თვის დღე-ის დეკლარაციით დაბეგრა წინასწარ გადახდილი თანხა. შეთანხმების შესაბამისად, 7000 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება განხორციელდა საანგარიშო წლის ოქტომბრის თვეში. ავეჯის მწარმოებელი საწარმოს მიერ ოქტომბრის თვეში საქონლის კომპენსაციის სრულ თანხაზე გამოწერილ იქნა საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

შეფასება:



თებერვლის თვეში ავეჯის მწარმოებელი საწარმო ვალდებულია წარადგინოს დღგ-ის ყოველთვიური დეკლარაცია და 3000 ლარი ასახოს დღგ-ის დეკლარაციის დანართ „ა“-ს I ნაწილის მე-2 სტრიქონსა და დეკლარაციის ნაწილი III-ის მე-2 სტრიქონში. ასევე, ვალდებულია ამავე თვის დღგ-ის დეკლარაციის დანართ „ბ“-ს I ნაწილში ასახოს მისაწოდებელ საქონელზე/გასაწევ მომსახურებაზე წინასწარ გადახდილი თანხის ნაწილზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის შესახებ ინფორმაცია.

ავეჯის მწარმოებელი საწარმო უფლებამოსილია ოქტომბრის თვის დღგ-ის დეკლარაციის დანართი „ბ“-ს I ნაწილში (მე-2 – მე-6 სვეტები) მიწოდების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან ერთად ასახოს ამავე საქონლის საკომპენსაციო თანხაზე გამოწერილი ავანსის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების მონაცემები (მე-9–მე-11 სვეტები), რომლის მიხედვითაც შეიმცირებს მიწოდებულ საქონელზე გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დარიცხულ დღგ-ის თანხას.

მოცემულ შემთხვევაში ოქტომბრის თვის დღგ-ის დასაბეგრ ბრუნვაში მონაწილეობას მიიღებს 4000 ლარი. კერძოდ, აღნიშნული ჩაიწერება დეკლარაციის ნაწილი III-ის მე-2 სტრიქონში, ხოლო ამავე ნაწილის 4¹ უჯრაში აისახება 3000 ლარი (ამ ოპერაციაზე წინასწარ გადახდილი საკომპენსაციო თანხა, რომელიც დაიბეგრა გადახდის თვეში (თებერვალში)).

შენიშვნა: მაგალითი ვრცელდება 2025 წლის 1 სექტემბრამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

